ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №71

2014 წლის 25 ივნისი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად:

ა) 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი ბაკალავრიატში დაიწყოს 15 სექტემბერს, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში - 29 სექტემბერს და დამთავრდეს 2014 წლის 30 დეკემბერს;

ბ) 2014-2015 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და წარმართვისათვის საჭირო სტუდენტთა ფინანსური და აკადემიური რეგისტრაციის წარმოება ფაკულტეტებმა უზრუნველყონ 2014 წლის 1 სექტემბრიდან 12 სექტემბრის ჩათვლით;

გ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2014 წლის 31 დეკემბრიდან 2015 წლის 7 იანვრის ჩათვლით;

დ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2015 წლის 12 იანვარიდან 30 იანვრის ჩათვლით;

ე) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2015 წლის 9 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით;

ვ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2015 წლის 16 თებერვალს, ორშაბათს და დამთავრდეს 2015 წლის 5 ივნისს;

ზ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2015 წლის 8 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით;

თ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2015 წლის 6 ივლისიდან 11 ივლისის ჩათვლით;

ი) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2015 წლის 13 ივლისიდან 18 ივლისის ჩათვლით;

კ) სალექციო-სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს:

- 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ყოველდღე, გარდა კვირისა;
- 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება);

ლ) I და III სასწავლო წლის სტუდენტებისათვის მეცადინეობები დაიწყოს დილის 9 საათზე, პირველ ცვლაში, ხოლო II და IV სასწავლო წლის სტუდენტებისათვის 14 საათზე – მეორე ცვლაში. ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების I და III სასწავლო წლის სტუდენტებისათვის მეცადინეობები დაიწყოს დილის 10 საათზე, პირველ ცვლაში, ხოლო II და IV სასწავლო წლის სტუდენტებისათვის 14 საათზე;

მ) აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი - 10 წუთით.

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ასევე ბსუ–ს ვებ–გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**